- სააგენტო - ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო
- ბენეფიციარი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელთანაც სააგენტოს პროექტების/პროგრამების ფარგლებში გაფორმებული აქვს. დაფინანსების/თანადაფინანსების ხელშეკრულება;
- პოტენციური ბენეფიციარი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელთანაც სააგენტოს პროექტების/პროგრამების ფარგლებში გაფორმებულია დაფინანსების/თანადაფინანსების ხელშეკრულება და შესაძლებელია, გაფორმდეს ტექნიკური მხარდაჭერის ხელშეკრულება ან/და მიიღოს საკონსულტაციო მომსახურება/ ჩაუტარდეს ტრენინგი;
- თანადაფინანსება – პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარზე გასაცემი ფულადი სახსრები;
- ხელშეკრულება – სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;
- განაცხადი – პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი განაცხადი თანადაფინანსების მიღების მიზნით;
- ბენეფიციარის თანამონაწილეობა – პროგრამის ფარგლებში, პროექტის დასაფინანსებლად პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ფულადი სახსრები ან/და დონორის რესურსი;
- აღჭურვილობა – პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქტის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო მანქანადანადგარები (მათ შორის, ეტიკეტირების, დამჭრელი, დოზირების, დამფასოებელი, ჩამოსასხმელი, თარიღატორი);
- დონორი – ორგანიზაცია, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში დაფარავს პროგრამით გათვალისწინებული დასაფინანსებელი მიზნობრიობების ღირებულების ნაწილს.